საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, შემოსული წერილობითი მოთხოვნებისა და მათზე რეაგირების შესახებ ანგარიში:

- 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინიტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ შემოვიდა 22 (ოცდაორი) წერილობითი მოთხოვნა. მათგან პასუხი გაეცა 14 (თოთხმეტი) განმცხადებელს, აქედან 5 (ხუთი) წერილზე პასუხი გაეცა უშუალოდ სახაზინო სამსახურის მიერ, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო შესრულების პროცესშია 8 (რვა) წერილობითი მოთხოვნა.
- სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს სახაზინო სამსახურში წარმოადგენს სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სახაზინო სამსახურში არ დაფიქსირებულა.